სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/230

ქ. თბილისი

5 სექტემბერი 2018

პროფ. დ. ნატროშვილის მოხსენებითი ბარათი სტუდენტებისათვის გამოცდების საკითხების ახალი ვერსიების მოსამზადებლად დამატებით 5000 საათის გამოყოფის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოხსენები ბარათის პროფ. დ. ნატროშვილის 31.08. 18 №01-09-33/4594 და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფ. დ. ნატროშვილის თხოვნა და სტუდენტებისათვის გამოცდების საკითხების ახალი ვერსიების მოსამზადებლად (სამივე სემესტრისათვის) აღნიშნულ დეპარტამენტს გამოეყოს დამატებით 5000 (ხუთიათასი) საათი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი — გ. სალუქვაძე